№ 160 1877

# ივერია

№ 160 1903

ივლისის 29, სამშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივლისის 29, სამშაბათი 1903

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით —9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ოთხშაბათს, 31 ივლისს, სოფელს დოესში ღვთისმშობლის ეკლესიაში ერთის წლის გარდაცვალების თავზედ

კნეინა ნინო ალექსანდრეს ასულის ერისთავისა

(თავ. ციციშვილის ასულისა) გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ მიცვალებულის შვილები დეიდა და რძალი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ. (2—6.—2)

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი საგარაკო ადგილები

„საჩხეიძო“

თვისის მდებარეობით და ჰავით ჰსჯობია ყველა საგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „პარკი“ ფიჭვისა მუხისა, დაპირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:

სურამში: კნეინა ევა გიორგის ასულს ჩხეიძისას,

ტფილისში: „ივერიის“ რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში ერევნის მოედანი, სახლი № 2). (30—23).

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილისა.

14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2.

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.

162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მსურველთათვის დანიშნულია 19 აგვისტოს

გამოსაცდელი წარმოდგენა

ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ თეატრის კანტორაში დღეიდან 5 აგვისტომდე, ყოველ დღე დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (7—7)

ზემო ავჭალაში, ბაქანს ახლო, იყიდება

საგარაკო ადგილი,

რომელზედაც ვენახია გაშენებული, 1.000 ჩორსო საჟენი. ფასი 2.500 მან. შეიძლება გაიყიდოს პატარა ნაჭრებადაც, 100—200 ჩორსო საჟენი. ფასი საჟენისა 2—3 მანათი. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის“ რედაქციაში. (10—9)

ტფილისში, ავჭალის ქუჩაზედ,

იჯარით იძლევა

დიდი სახლი, რომელიც სასტუმროდ შეიძლება გადაკეთდეს. ქვემო სართულში სავაჭრო დუქნებია. შემოსავალი 10.000 მანეთს აღემატება. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის“ რედაქციაში. (10—9)

ქართული წიგნის მაღაზია

გაიხსნა ავჭალის ქუჩაზედ, რეუტოვის ქუჩის კუთხეში, პაპოვის სახლში, სადაც ისყიდება ყოველნაირი ძველი და ახალი ქართული წიგნები. აქვე ყიდულობენ ძველს წიგნებს, სხვა ენებზედ დაბეჭდილსაც. (10—10)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილისქუჩიდან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

ზრ. ზ. ხოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეავადმყოფობანი.

ქ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაზანახოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა. ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზქოლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ლ. მ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ზ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა 7—7— საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½ 8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გათებსსაუკეხლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს სექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Воронцова

(წლ.

## ტფილისი

◆ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი და კომანდერი ჟანდარმთა კორპუსისა, გენერალი ფონ-ვალი, გუშინ დილით რკინის გზის მატარებლით ტფილის ამოვიდა ბაქოდგან და მთავარმართებლის სასახლეში ჩამოხდა.

◆ პროფესორი ა. ხახანაშვილი გუშინ საღამოს უნდა ჩამოსულსყო ტფილისში.

◆ ბ-ნმა ფალიაშვილმა მოკლედ გვაუწყა თვისი სვანეთში მოგზაურობის ამბავი და შთაბეჭდილებანი. სვანები ძალიან წააგვანან გარეგნობით ქართლ-კახელებსა, მათი სახალხო სიმღერებიც აქაურ სიმღერებს გვაგონებსო. ბევრი სვანი კარგა ლაპარაკობს თურმე ქართულად და სვანურშიაც მრავალი ქართული სიტყვა ურევია. ბ-ნი ფალიაშვილი, როგორც მუსიკის მცოდნე, ცალკე წერილს დაგვპირდა სვანურ სიმღერების შესახებ.

◆ ის ორი ფეხით მოგზაური ლატიში, რომელთ შესახებაც ცნობა იყო ჩვენს გაზეთში, გუშინწინა და გუშინ შემოვიდნენ რედაქციაში და თითქმის ერთს საათს დარჩნენ. ორივენი ყმაწვილნი კაცნი არიან, ერთი 20 წლისა და მეორე 22-ისა; ტფილისში მთელს კვირას დარჩებიან. გუშინ დაათვალიერეს წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავი და მუზეი. გუშინვე უნდა დაეთვალიერებნათ სიონის საეკლესიო მუზეიც. ლატიშები 2 მილიონამდე ვართ კურლიანდიაშიო, გვიამბეს ამ ახალგაზდა მოგზაურებმა. 30 გაზეთი და ჟურნალი გვაქვსო. ჩვენში ყველამ იცის წერა-კითხვა, იმიტომ რომ სკოლაში სიარული სავალდებულოა ყოველის პატარა ბავშვისათვის. ოჯახი არ მოიძებნება თითქმის, რომ გაზეთს არ იწერდეს, ან არ კითხულობდეს მაინც სამკითხველოში, რომელიც ყოველ სოფელს აქვს გამართულიო. ჩვენი მოგზაურობა გასტანს 4 წელიწადს. თებერვლიდან დავიწყეთ მოგზაურობა ფეხით. რუსეთი კარგად გავიცანითო.

◆ ფინანსთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ წელს ტფილისში რუსეთის ყველა რკინის გზების მოხელეთა ოცდაპირველი კრება გაიმართოს. ეს კრება აგვისტოში უნდა მოხდეს. კრებას 80 საკითხზე მეტი ექმნება განსახილველი.

◆ სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს მიანიჭოს ტყის მცველებს იმის უფლება, რომ უმაღლესი მთავრობა აღარ აწუხონ მოხსენებით და ადგილობრივ მცხოვრებთ თვითონ აძლიონ ნებართვა საჭირო ხე-ტყის გატანისა, რა ფასისაც უნდათო.

◆ გზათა სამინისტრომ განიზრახა დაბალ მოხელეთა ყოფა-ცხოვრება გააუმჯობესოს. პირობების შესამუშავებლად კომისია იქმნება შედგენილი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის ყველა რკინის გზების წარმომადგენელნი. ამ დღეებში ტფილისიდგანაც წავა პეტერბურგს ამიერ-კავკასიის რკინის გზის წარმომადგენელი, რომელსაც გზის უფროსი თავის მაგივრად ჰგზავნის.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე სახელოსნო გამგეობათა საჩივარი მიუღია შესახებ იმისა, რომ სახელოსნოები, რომლებშიაც 16 ხელოსანზე მეტი მუშაობს, დაუმორჩილეს საქარხნო ინსპექციას და სახელოსნო გამგეობას. ბევრს დიდს ქარხნებს ვაჭრები და ისეთი კაცები აარსებენ, რომლებსაც ხელობისა არა გაეგებათ-რა, ხოლო შეძლება-კი აქვთ. ისინი სახელოსნო გამგეობას არ ეკითხებიან და პირდაპირ საქარხნო ინსპექციასა სთხოვენ ნება-რთვას, სახელოსნო კანონდებულებას უარ-ჰყოფენ და პასუხის გებაში არ ეძლევიან. ამისათვის, სახელოსნო გამგეობანი თხოულობენ, ვაჭრებს ნუ მიეცემათ ნება სახელოსნო ქარხნები დააარსონო.

◆ ქ. ბათომში დაარსდა განყოფილება რუსეთ-ჩინეთის ბანკისა, რომელსაც დიდი თანხა და დიდი აღებ-მიცემობა აქვს. ამ ბანკის გამგებელი თ-დი ე. უხტომსკია, „პეტერბურგის უწყების“ რედაქტორი. უეჭველია ეს ბანკი მთელ კავკასიაში იმოქმედებს და არა მარტო ბათომში.

◆ მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების თავმჯდომარის გრაფინია უვაროვისა და ამ საზოგადოების ტფილისის განყოფილების თავმჯდომარის ლ. ლოპატინსკის განკარგულებით, წევრი ამ საზოგადოებისა მოსე ჯანაშვილი გაიგზავნა ს. დიხატორგს, სადაც ძველი ნანგრევები და ქართული წარწერები აღმოუჩენიათ. ერთი წარწერა თურმე ესეთია: „უხუცესს მამას გალოტელთა. 711: ამინ“.

◆ ქალაქის საყასპოების გამგეს ბ-ნ ალიხანოვს უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის, მოგვეცით ის 15,000 მანათი, რომელიც ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა საყასპოების მოსაწყობადო. გამგეობამ უპასუხა ბ-ნ ალიხანოვს, რომ 15,000 მანათიდგან 14,437 მან. 50 კაპ. საყასპოების ვალი გავისტუმრეთო. აძ რიგად ქალაქის საყასბო თითქმის რომ უთანხოდა რჩება.

◆ ქალაქის გამგეობა თავის საყასპოებსაც ახდევინებს გარდასახადს, როგორც სხვა ყასპებს, რომლებიც საქონელსა ჰკლავენ. აქამომდე ეს გადასახადი გროვდებოდა და თვის ბოლოს შეჰქონდა საყასპოს გამგეს ქალაქის კასსაში. ეხლა-კი ქალაქის მოურავს განკარგულება მოუხდენია, რომ ეს გარდასახადი ყოველ დღე წარუდგინონ ქალაქის გამგეობას იმის კვალობაზე, რავდენი სული საქონელიც დაიკვლის. უთანხო საყასპოს ამით საქმე უფრო გაუძნელდება.

◆ რუსულ გაზეთებში გადაბეჭდილია ოსმალურ გაზეთებიდან საყურადღებო ამბავი, რომ სომხების ეკლესიებს ოსმალეთში უდღესასწაულნიათ 1600 წლის თავი ეჩმიაძინის მონასტრის დაარსებისა.

◆ რადგან შეკრებილ ცნობებით დამტკიცდა მავნე მოქმედება ტფილისში მცხოვრებთა: ტირასპოლელ მოქალაქის იაკობ ცუკანოვისა, შორაპნის მაზრის სოფ. საქარის მცხ. დავით ვლადიმირის ძის კურცხალიასი, აზნაურობის მაძიებლის სოფ. სერგეეშის მცხოვ. ვლად. ანტონ. კიკნაძისა, სენაკის მაზრის სოფელ გუნცის გლეხის ილიკო იოს. ხვინჩიასი და ქუთაისის მაზრის გლეხის ალექსანდრე დიმიტ. კვინჩიასი, ამიტომ კავკასის მთავარმართებელმა საჭიროდ სცნო აუკრძალოს ზემოდ ჩამოთვლილთ კავსასიაში ცხოვრება: პირველს (ცუკანოვს) სამუამოდ, დანარჩენთ—სამ-სამის წლით. (გაზ „კავკაზი“).

◆ ვინც ადმინისტრაციის წესით რაიმე დანაშაულობისთვის იგზავნება, სამშობლოდგან სხვაგან იგზავნება ერთიდგან ხუთ წლამდე, იმას ვადის შემდეგ ნება ეძლევა ითხოვოს სამშობლოშივე დაბრუნება. მსურველმა განცხადება უნდა წარუდგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. სამინისტროს განკარგულებით, ცნობები იკრიბება ყოფა-ქცევის შესახებ; როგორც იმ გუბერნატორისაგან, სადაც დამნაშავე გაგზავნილი ისეიმ გუბერნიის უფროსისაგან სადაც დაბრუნებას თხოულობს. ცნობების შეკრება ხშირად მთელის წლობით გვიანდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია და ახალი წესები შეუმუშავებია. ამ წესების ძალით, დასჯილთა თხოვნაზე დაუყოვნებლივ პასუხი უნდა გაიგზავნოს და ნება-რთვა სამშობლოში დაბრუნებისა. სამინისტროს განკარგულებით, კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიამ მიწერილობანი დაუგზავნა კავკასიის გუბერნატორებს, შეატყობინა სამინისტროს მიერ გამოცემული წესები და მისწერა ადმინისტრაციის წესით გადასახლებულთა უკანვე დაბრუნების დროს მალე შეჰკრიბონ ცნობები და გაუგზავნონ სამინისტროს.

◆ დღემდის სამშობლო ენის სწავლება სამრევლო-საეკლესიო სკოლებში მასწავლებელსა ჰქონდა ჩაბარებული. ეხლა კი, ოლქის მეთვალყურის აზრით, ამ ენის სწავლება ისე, როგორც საღმრთო სჯულისა, უნდა ჩაჰბარდეს სკოლის გიმგეს, ე. ი. მღვდელს.

◆ საგუბერნიო ექიმი ტ. ს. ქიქოძე დაბრუნდა ახალქალაქიდგან, სადაც კეთროვანებით ავადმყოფობა აღმოჩნდა. ამ სენით ორი კაცი ყოფილა შეპყრობილი. ექიმს საჭირო ღონისძიებანი მიუღია, რომ ავადმყოფობა არ გავრცელდეს. ავადმყოფნი განმარტოებით დაუწვენიათ; ტფილისში დაბრუნებამდე საგუბერნიო ექიმს დაუთვალიერებია ბარალეთის საზოგადოების-მიერ ახლად აგებული შენობა, სადაც უნდა მოათავსონ სასოფლო სამკურნალო. მალე აკურთხებენ ამ სამკურნალოს.

◆ გუშინ ბორჩალოს მაზრაში წავიდა ტფილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ-ნი მაჰავარიანი იქაურ სასოფლო სამკურნალოს დასათვალიერებლად და გადამდებ სენის წინააღმდეგ საშუალებათა მისაღებად.

◆ ტფილისის მაზრის სოფელ ირაგადან „ცნობ. ფურც.“ატყობინებენ: ამ სოფლის მცხოვრებთა ორი ქალი, ერთი 13 წლისა, გერგერა ბეხანოვისა, და მეორე 10 წლისა, ქრისტინე ხალილოვისა, ხათიბში ყოფილიყვნენ და თივას აგროვებდნენ თურმე. 21 ივლისს, დილით, სოფელ დმანისის მცხოვრებნი ნიკო და იორდანე ძუკაშვილები და დაითკო მაკიშვილი ჩუმათ მიჰპარვიან 13 წლის ქალს გერგერს და ტყეში გაუტაცნიათ.

რადგან ქალს ხმა მაღლა ყვირილი მოურთავს, ბოროტ გამზრახველებს ამოუღიათ ხანჯალი და დაჰმუქრებიან, ხმა არ ამოიღო, თორემ მოგკლავთო. გერგერის მამას მალე შეუტყვია ქალის მოტაცება, გაქცეულა თავ. დავით ზ. ბარათაშვილის ტყის მცველ გიორგი ნინიკაშვილთან, რომლის დახმარებით, კარგა ხანს ძებნის შემდეგ, ქალისათვის მიუგნიათ ტყეში. იგი მარტო ყოფილა. როგორც კი გაეგონათ მძებნელთა ხმა, ბოროტ-გამზრახველებს ქალი ტყეში მიეტოვებინათ. საბედნიეროდ ბოროტ-გამზრახველთ ქალისთვის ნამუსის ახდა ვერ მოუსწვრიათ.

◆ თომა ჯანაშიას სახლში, საპიორის ქუჩაზე, სცხოვრობდა ცოლქმარი სანაყოფშვილები (ოსები). სახლის ქირა თურმე დროზედ არ უძლევია სახლის პატრონს უჩივლია და აღმასრულებელი ფურცელი მიუღია. 25-ს ივლისს სასამართლოს ბოქაული ბ-ნი ბალიასონი და სახლის პატრონი თომა ჯანაშია მისულან სანაყოფშვილების სადგურთან, რომ გადაასახლონ. ფანჯრები ჩამოფარებული იყო და კარები ჩაკეტილი. არახუნა ბოქაულმა კარი, მაგრამ ხმა არავინ გასცა. ბოქაულმა მიმართა პოლიციას, კარი გააღეს და ნახეს შემდეგი სურათი: ცოლქმარნი იწვნენ ლოგინში თავ-წაკრულები. ბოქაულმა უბრძანა, ადექითო. იმათ უპასუხეს, კარგად ვიცით, ჩვენ დასარჩობათ მოსულხართო. წამოვარდა ცოლი, აანთო ხატების წინ კანდელი, დაიჩოქა და დაიწყო ლოცვა. ქმარს-კი ძალა აღარა ჰქონდა ამდგარიყო. აღმოჩნდა, რომ ცოლიც და ქმარიც შეშლილან. იმათ ჰგონებიათ რომ მთავრობა სდევნის და დარჩობა აქვთ გადაწყვეტილი. წელიწად-ნახევარი თითქმის ცისმარე დღე დადიოდნენ პოლიციაში, რომ შეეტყოთ ეპატიებათ თუ არა დანაშაულიო. პოლიცია ამშვიდებდა, ფულითაც ეხმარებოდა და საავათმყოფოშიც უნდოდათ გაეგზავნა, მაგრამ ადგილი არა ყოფილა. ამ უკანასკნელ ხანს ისინი აღარსადა სჩანდნენ. საცოდავებს ოთახი დაუწყვიათ და ჩაკეტილიყვნენ იმ განზრახვით, რომ შიმშილით დახოცილიყვნენ და გადარჩენილიყვნენ ჩამოხრჩობას. საცოდავებს ეს ათი დღე თურმე, ნაწილი არ უნახავთ. ავათმყოფი სანაყოფშვილი წინად პოლიციის დარაჯად ყოფილა, ნამდვილი ჩონჩხიღაა.

## სვანეთში ორი კვირით.

I.

რაკი ერთ ადგილს დგომა წყალს გუბედ, წუმპედ აქცევს, აურალებს, რაკი ერთ ადგილს გამუდმებული ცხოვრება კაცს გონებრივად ახავსებს, აჩერჩეტებს, აყრუებს,—როცა ზედიზედ რამდენსამე თვეს ერთ ადგილს ვცხოვრობ ხოლმე, ზემორე თქმული გამიელვებს ხოლმე გულში და მაშინ მეზმანება აქეთ-იქით გავლა-გამოვლა. თითქმის წელიწადი შესრულდა ფეხი ვერსაით გავდგი ტფილისიდამ და მალ-მალ ვაფრთხილებდი ჩემს თავს—ჰა, არ გამოჩერჩეტდე მეთქი. ამიტომ სიხარულით ცას დავეწიე, როცა სიტყვა გადამიგდეს ჩემმა მეგობრებმა,—მოდი სვანეთისაკენ გავისეირნოთო. ღვთის-წყალობა გაქვთ, მე გულში ჩავიცინე: სწორედ კატის თავში ძეხვის ჩარტუმა იყო. მე იმ დღიდგანვე შევუდექ სამგზავრო სამზადისს.

მაგრამ ვისაც-კი დავეკითხე, ყველამ შორს დამიჭირა—რამ გამოგასულელა, რამ აგტეხაო? ხომ არ გინდა კლდე-ღრეში საყორნეთ გახდეო, იმ ველურ ხალხში რა დაგრჩენიაო! დამაფიქრა დიდად ამისთანა რიხიანმა სიტყვებმა. მაგრამ ამავე დროს რამდენმამე მეგობარმა დამინია—ვის აჰყოლიხარ, თუ ღმერთი გწამს წადი, მიიარ-მოიარე და გვითხარი რამე სვანეთზეო.

გადავიწერე პირჯვარი და ვახსენე მაღალი ღმერთი.

2 მკათათვეს საღამოთი ქაჯიანმა ორთქლმავალმა ხელად მიმაგდო ქუთაისში. აქ სამნი ამხანაგნი შევიყარენით, მეოთხე ჯერ არ მოსულიყო; ამიტომ ოთხიოდე დღე შეგვიგვიანდა. შევუდექით სამგზავრო თადარიგსა, მოგვივიდა მეოთხე ამხანაგიც და სამშაბათს, 8 მკათათვეს, დილის ექვს საათზედ ერთი დანჯღრეული ეტლით (линейка) გავუდექით გზასა და ორმოცდა-თორმეტი ვერსი რიონის მარჯვნივ ვიარეთ ს. ალპანამდე. ხეობა მდიდარია მცენარეულობით, მაგრამ მეტის-მეტი მიუდგომელი მთა-გორიანია. ორივე მხრივ ძალიან და მჭიდროდ დასახლებულ გლეხ-კაცობას სახნავი მიწების ნაკლებობა ეტყობა; მისასვლელ-მოსასვლელი გზები ძალიან აღმართ-დაღმართიანია და ამიტომ აქ, ბარში ჩვეულებრივი ურმის მაგიერ პატარა გოგორებიანი ბოლოთრია დაჩოჩავს მამაპაპურად. ჩვენებური ურმები რაჭამდი მუშაობს და სხვა-და-სხვა საქონელი მიაქვთ-მოაქვთ. ფურგონებს თითო ორთვალს თუ შეხვდებით. გასცილდებით თუ არა ქუთაისს, მშვენიერი ხილნარით მოცული ეზოები იზიდავს თვალსა. ხილი წვლიანია და ქართლ-კახურივით ტკბილი-გემრიელი ვერ არის. საითაც გაიხედავთ, შემოდობილი სიმინდების და გახადებული თოხვა; პური ნაკლებ მოჰყავთ. აქ გლეხ-კაცობა მეტად გულჩათხრობილია, დაფიქრებული: ორმოცდა-თორმეტი ვერსის მანძილზედ ერთიც არა რამ სიმღერა წამოდათ არ გაგვიგონია; მგზავრი ბუზივით ირეოდა, მრავალი მუშა ხალხი აწვეთებდა მადლიან ოფლსა და ჩაჰყურებდა შავს მიწას გზის ორივე მხრივ, მაგრამ ხმა გაკმენდილი, პირკაეცინარი!.. მართლაც და რა აქვს გასახარელი? მის ნამუშევარს სხვა აფასებს და ჩალის ფასად მიაქვს.. ნახნავ ნათესი ერთიან შემოდობილია ხელმანით. ამიტომ მეტად სასაცილო სანახავია აქ დორები: დიდს და პატარას ყველას რჩხებიანი უღლები აქვს გაკეთებული კისერზედ, რომ კუდაშვერილები ღობეებში არ გაძვრნენ და მოსავალი არ წაახდინონ. დილით საღამომდე გზაზედ დაწანწალებენ, ჩაწოლა ლაფში, ან მზეზედ ნებივრად წამოწოლა ენატრებათ; თუ მოახერხა როგორმე დაწოლა, მაშინ ვაი ზეზე ადგომასა!

რასაკვირველია, სხვა შინაური საქონელიც ესრე იტანჯება, მამულის სივიწროვისა გამო და მეტად ტან-აურეულია: აქ ვერსად ვერ შევხვდით ქართლ-კახურად—ვერც დორხოსა, ვერც ნახირსა, ვერც ცხვრის ფარასა, ანუ საქონლის ჯოგებსა. ცხვარს, თხას, ღორს იმდენს ინახავს აქ გლეხი, რამდენიც საჭიროა შინაურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად: ბედნიერ დღეში და სტუმრის დასახვედრათ საკლავი ჰყვანდეს შინ, მატყლი და თხის თივთიკი შალების საქსოვათ და ნაბდების მოსათელად ჰქონდეს—მორჩა და გათავდა! ქათამი და ბატი ძალიან ცოტაა, ინდოური ვერსად ვნახეთ.

თუმცა სოფლები ხშირია გადმა-გამოდმა, მაგრამ აქაც მამულის სივიწროვისა გამო შორიშორს დგანან და ცაცხ-მაღლობი ფერდოები სასიმინდე მიწებად გადაუქცევიათ. ცხადია, რომ აქ გლეხ-კაცობამ მხოლოდ თავგამოდებულის ზნეობითა და ოფლის ღვრით უნდა აცხოვროს ცოლშვილი და ათასნაირ გადასახადს გაუძლოს. ამდენა მანძილზედ იშვიათი სანახავია ძველი საყდარი, ანუ ციხე-კოშკი.

მშვენიერს რიონის ხეობაში იშვიათი სანახავია გარეული ფრინველიც: ბულბული, მტრედი, ტოროლა, მოლაღური, ყვავი, კაჭკაჭი, კირკიტა და სხ. ვერსადა ვნახეთ. ათაში ერთხელ შაშვის სტვენა მიმოისმოდა და ყურთასმენას გვიტკბობდა.

პატარა ს. ჟონეთში მივედით. აქ რიონის მარჯვენა ნაპირს ვიდაც სტეფანოვს გაუმართავს თუთის ქვის (თავვ მარილასა ჰქვავ) баритъ დიდი წისქვილი (ქარხანა), რიონზედ ბორანი გაუკეთებია და გადრუნა აგებული ცხენებით გადმოგან ეზიდებიან დასაფქვავად ქვასა. დაფქულ ქვას ბოჭკებით ჰგზავნიან სამღვარ-გარეთ და რუსეთში ისე, როგორც ჩვენში ცემენტი მოაქვთ. ამ ქარხანაში ორასამდე კაცი მუშაობს. ქარხნის გამგებელი ვიდაც ნემეცია ქ. რიგიდგან.

ამ ქარხნის პირდაპირ, გზას იქით ვიდაც ადექსი ბერძენს სახლი-დუქანი აუშენებია და გზის აყოლება კლდეებში ქვასა ჰსჭრის და სთლის წისქვილის და ხელსაფქვავის ქვებსა.

ქუთაისიდგან დაწყებული ალპანამდე ბევრგან შევნიშნეთ ნასოფლარნი, ნავენახარნი. უწინ აქ ერთი ორად მეტი ხალხი მდგარა და უცხოვრიათ. ამისთანა ადგილები დღეს აღნიშნულია დაბერებული მსხლის, ვაშლის, კაკლის და სხ. ხეებით.

სოფ. ნამახვანაში ჩამოვხდით და დავნაყრდით. აქ გზა-გზა უხეირო დუქნებმა დიდი სიძვირეა. აქ ეროვანის ღვინის სახელი გათქმულია, როგორც ჩვენში კახური. მისი სახელით ბევრი მჟავე და წყალ-წყალა ღვინოები სადღება ბოთლი ექვს შაურათ და პირში კი არ ჩაიშვება. გამომცხვარ პურს აქ ყველგან მარილ საკლებს აცხობენ. ნამახვანადამ ტკიმში ჩამოვხდით, პატარა ხეხილიან ჩრდილში. ქუთაისიდამ მოყოლებული, გავრცელებულია ვაზი- იზაბელა, ჩვენებურ ანდრიულს ჟღიას წააგავს ძალიან. აქ ტკიმშიაც მოსდებია ამ ვაზს ობი, ფოთოლი დაუხრუკნია, ქურძენი გაუყრევინებია და თითო-ოროლა კაწილა შერჩენია აქა-იქა.

ჩვენ პირდაპირ, რიონს გაღმა ამართული იყო მაღალი კლდოვანი ქედი; ამ კლდეებში შევნიშნეთ გამოქვაბულნი; აღბათ უწინ კაცი უდგებოდა ამ კლდეებს, მაგრამ ეხლა კატაც ვერ მიცოცდება, ისეთი დაკიდებული კლდეა. მარცხნივ რო გავიხედეთ დავინახეთ ერთი ათათ უფუუფრესი მაღალი და ამართული, დიდებული სანახავი კლდოვანა ხვამლის მთა. უძველესის თქმულებით ბერძნების პრომეთეოსი და ჩვენი ამირანი ამ კლდოვან ხვამლის მთაზედ ყოფილა ჯაჭვებით დაბმული. აქა-იქა გამოქვაბულებიც *) მოსჩანს. დიდხანს დავაშტერეთ თვალი ამ უზარმაზარს ხვამლის მთას, მისი ქედი დიდ მანძილზე მიდის: ჯერ რიონისა და ცხენის წყლის ხეობებსა ჰყოფს, მერე ჩრდილოეთისაკენ მიიმართება ცაგერამდე.

გზა-გზა ხშირად ჩამოჩანჩქარებდნენ მთის ანკარა ცივი ნაკადულები, ყველგან შევდგებოდით ხოლმე და მუშტრის გემოვნებით ვსინჯავდით ამა თუ იმ წყლის სიკეთესა.

ავიარეთ ხვამლის მთის ძირი, მაგრამ შენს მტერს ჩვენი ყოფა: ვეებერთელა ამართული კლდეები გზას გადმოჰფარებია და გვეგონა ან ახლა დაგვეწვება თავს, ან ეხლაო. მივაღწიეთ ალპანას, სადაც მოუხვევს რიონს გამოვეთხოვეთ. აქ ჩრდილოეთით რიონს ერთვის მრისხანე მდინარე ლაჯანური; თვით რიონის ხეობა-კი აქ აღმოსავლეთისაკენ შვრება პირს და რაჭისაკენ მიიზლაზნება.

მღ. პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) ამ ქვაბებში გახიზნავდნენ ხოლმე საქართველოს მეფენი თვისს საგანძურსა. «და განყვეს (მეფე დავითმა † 1245 წელს) საჭურჭლენი ორად, გარნა ხუამლისა ქვაბსა, რომელი იდვა მცირე რამ, გამოიღეს და გაყვეს და უფროსი ქვაბსავე დაუტევეს.» იხ. „ქართლის ცხოვრება“ 1, 393 გვ.

## ჩვენებური ამბები

**ხონი.** 22 ივლისს ქუთაისიდან ხონში მომავალ დილიჟანს, რომელსაც რვა კაცი მოჰყავდა, შეხვედრია ოთხი შეიარაღებული კაცი. ოთხივეს მასკები ჰქონდა ჩამოფარებული. შეიარაღებულებს მოუთხოვნიათ მგზავრთათვის ფული. ბოროტმოქმედთ წაურთმევიათ ქამრები და ყოველივე ნივთები, რაც-კი გააჩნდათ დილიჟანში მყოფთ, შემდეგ გაუჩხრეკიათ ჯიბეები: ზოგში სამი მანეთი უნახავთ, ზოგში—ოთხი, ზოგში—რვა, მხოლოდ ერთისათვის წაურთმევიათ ასი მანეთი. დასასრულ ბოროტ-მოქმედნი ზრდილობიანად გამომშვიდობებიან გაძარცულთ და წასულან. როგორც გადმოგვცეს, ორი ბოროტ-მოქმედი უკვე დაუპატიმრებიათ.

**ახანისი** (დუშეთის მაზრა). აქეთ ღორის ჭირი ჯერაც არ განელებულა. ზოგს სულ გაუწყვიტა და ღორს დაანატრულა. თიბათვეშივე ჭირი შეხვდა აქაურ მემამულის სანიკა ზანდუკელის ღორს, რომელსაც ათას სულამდის ღორი ჰყავდა, და მუსრი გაავლო. რვაასამდის ღორი გაუწყვიტა, დასტოვა თითქმის ცარიელი, მეტადრე მაშინ, როცა ტყეს წრეულ ძლიერ ასხია ღორის საჭმელი და კარგს შემოსავალს მოელოდა. ამ ზამთარში-კი დიდი ხარჯი მოუვიდა ღორის გაკვებაზედ, რადგან საჭმელი ძლიერ ცოტა იყო. ამოდენა ღორის კვება ნასყიდს საჭმლითა დიდს ხარჯს მოითხოვდა. რა ქნას სოფელში მცხოვრებელმა ან მემამულემ ან გლეხმა მაშინ, როცა ამოდენა ხარჯთან შემოსავალი არსაიდან არის, ზარალი-კი თითო ფეხის გადადგმაზედ ახობითა და ათასობით ითვლება?!

მგზავრი.

**ბათუმი** (კიდევ ფოსტის გაძარცვის შესახებ—ართვინის გზაზედ) ბათუმში გაიგეს თუ არა ფოსტის გაძარცვის ამბავი, 22 ივლისს საღამოს, ექვსს საათზედ მაშინათვე ბათუმის ოლქის უფროსი სლავოჩინსკი რამდენისამე ყაზახით და ჩაფრებით ავაზაკების შესაპყრობლად გაემართა, მაგრამ ვერც იმ ღამეს და ვერც მეორე დღეს ვერას გახდნენ—ხოლო მესამე დღეს—რადგან მთელ ახლო-მახლო მცხოვრებლებს სასტიკად დავალებული ჰქონდათ აღმოეჩინათ დამნაშავენი, თორემ თქვენ დაგბრალდებათ დანაშაულობაო, მცხოვრებლები შეფუცხუნდნენ. მივიდნენ თუ არა ერთ სოფელში ფულით სავსე ხოლო კუჭით დამშეულნი ავაზაკნი პურის სათხოვნელად, სოფლელებმა პურის მაგიერ სიკვდილი მიუტანეს წინ ე. ი. შეატყობინეს რამდენსამე კარგ თოფის მსროლელ ბიჭებს და რვა ავაზაკთაგან ორი იქვე გაუნძრევლად მოჰკლეს, ერთი დაჰჭრეს, ხოლო დანარჩენმა ხუთმა თავს უშველა. ავაზაკები, როგორც მოსალოდნელი იყო, გურულები გამოდგნენ—რამდენიმე—ქობულელი გამაჰმადიანებულიც..

23 ივლისს ე. ი. მეორე დღეს ფოსტის გაძარცვის ადგილას წავიდნენ პროკურორი—რჟევსკი, გამომძიებელი ნაზაროვი და ბათუმის ფოსტის უფროსი ჩიჟიკი—აქ მათ შემდეგი სურათი დახვდათ:

ცხენები გვერდზედ მიბრუნებული იდგნენ თავის მეეტლეთი. (მეეტლეს ნაბრძანები ჰქონდა გამომძიებლის მისვლამდე არ სად წასულიყო, როცა ის გულ გახეთქილი ბუჩქებში იპოვეს). იქვე ახლო სისხლში შესვრილი ჩაფარი და ფოსტის მოხელე გაცივებულნი ეყარნენ. ეტლის გარშემო გაფანტული და გაწეწილი ეყარა—ფოსტისა და ფოსტალიონის ნივთები—ეტყობა, ფული იქაც ჰგულებიათ ავაზაკებს. ტყავის პარკი, რომელშიაც 15,700 მ. იყო, გაექრათ, ხოლო ამ ფულებიდან 6200 მ. ცალკე შეხვეული პატარა პარკებში ოქროს ფული წაეღოთ, დანარჩენი 9500 მან. ქაღალდის ფული კი დაეტოვებინათ. ეტყობა სიჩქარისაგან ვეღარ გაუსინჯავთ და უბრალო ქაღალდი ჰგონებიათ. დანარჩენი ყოველივე მთლად დახვდა მთავრობას.

აშკარაა, ავაზაკების აჩქარების მიზეზი მეეტლეს დამალვა იქნებოდა—მალე არ შეატყობინოს ვისმეო. მოკლულსა და დაჭრილს ავაზაკებს აღმოაჩნდათ ზედ 2200 მანეთი. ეტყობა გაყოფაც მოუსწვრიათ რვა ნაწილად!.—

გამოძიებისა და ოქმის შემდეგ მოკლული ჩაფარი, ცნობილი ყველასაგან იუსუფ-გამაჰმადიანებული ქართველი ბორჩხას დაასაფლავეს, ხოლო რადგან იქ მღვდელი არ იყო, ფოსტის მოხელე 24 ივლისს ბათუმს მოასვენეს. საცოდავს შიგ შუბლში ჰქონდა მორტყმული ტყვია. ძმის თხოვნა, დეპეშით მოწერილი, ფოტოგრაფიული სურათი აიღეთო, ვერ შევასრულეთ, რადგან საზარლად დამახინჯებული იყო სახე უბედურისა. 25 ივლისს მთელის ფოსტა-ტელეგრაფის

# ფელეტონი

*
* *

. მე რას დავდევ, თუ რომ ვინმე
ჩემმა სიტყვამ გაამწარა...
მძულს მე ყველა, ვინც თვის რწმენა
სხვის გულისთქმას ანაცვალა.
ის, რაც ერთხელ ჭკუამა სცნო
და რაც გულმა დაიჯერა,
როგორ არ ვსთქვა, თუნდაც მისთვის
შემიჩერდეს გულის ძგერა!
როგორ არ ვსთქვა, რომ სამართალს
სთელავს, სჩაგრავს ბრიყვი ძალა,
როს სიმართლეს ჯილდოდ თან სდევს
საწამლავი, შხამ-სამსალა!
როგორ ვდუმდე, როს ჩემ თვალ-წინ
ბოროტებამ თვისი ქსელი
გაშალოს და შიგ გააბას
ყველა კარგის, მართლის მთქმელი!
განა ძალ-მიძს გაჩუმება
იქ, სად ღალატს ჰქონდეს ბინა?
მაშ კაცთ სიტყვა ზეცის ძალამ
რაღად მოგვცა, მოგვივლინა?!
არა, დეე სხვა გაჩუმდეს,
მოიყრუოს იქ სხვამ ყური,
მე კი ეგრე როდი მესმის
სიმართლისთვის სამსახური!
ვიტყვი, დავწვავ ცეცხლის სიტყვით,
ვიტყვი, სანამ შესძლებს ენა,
რომ კრულია, ვინც სიმართლე
შელახა და შეარცხვენა;
რომ ვინც თვისი სვე და ბედი
სხვის ცრემლებზედ ააშენა,—
წყეულია, სასტიკს სასჯელს
მიუსაჯავს იმას ზენა!
რომ ვინც გულით მგელი არის,
ცხვრის ტყავში კი გახვეულა,
ვინც ბრძოლის წინ, როგორც მონა,
ვით ლაჩარი გაქცეულა,—
მტერი არის და მას წყევლით
მოიგონებს მუდამ ერი...
ვიტყვი მიტომ, რომ განვდევნოთ
ყველა მავნე, მანკიერი!
დიაღ, ვიტყვი და რას დავდევ,
თუ თქმამ ვინმე გაამწარა...
მძულს მე ყველა, ვინც თვის რწმენა
სხვის გულისთქმას ანაცვალა!

ქ. გარიყული.

## შთაბეჭდილებანი და შენიშვნები.

(ქუთაისის რამე-რუმე)

I

დიდი ხანი არაა, რაც ქ. ქუთაისს ვესტუმრე. ორ წელზე მეტია ქ. ქუთაისი მივატოვე. უკაცრავად, მივატოვე-კი არა, გავექეცი, რადგან მისმა უშინაარსობამ, ფუქსავატობამ სული შემიხუთა, ყოველივე კეთილი სურვილი მომიკლა. იდეალების მოტრფიალე, იდეალების ულმობელ მტრად მაქცია; შრომის მოყვარე და დაუღალავ მხნეობის პატრონი დამაძაბუნა და ხელ-ფეხ შეკრული ბინძურ წუმპეში სულ თავიან-ფეხებიანათ ჩამაყურყუმელავა; მაგრამ ამ საშინელ დროს მომესმა მძლავრი, სულის ჩამდგმელი და გულის გამახალისებელი ხმა:

„ადექ, კაცო, გამოიღვიძე,—ჩამძახოდა ეს ხმა,—გაახილე თვალი, მიიხედ-მოიხედე, მოიკრიფე ძალ-ღონე, მოშორდი ამ ჭაობს, გადიკარგე შორს, შორს, რომ არავინ გნახოს, არავინ პნახო და ნიავს მიეც შენი გულ-საკლავი და თავზარ-დამცემი სევდა და მწუხარებაო.

მართლაც, ამ ზეციერმა ხმამ შთამბერა ძალა, ენერგია, ყელამდე ტალახში ჩაფლულმა ძალა მოვიკრიფე, ვაი-ვაგლახით მეორე კიდეს მივახწიე, მივეცი ჩემ თავს აღთქმა არ მოვკარებოდე ქ. ქუთაის, სანამ ეს აშმორებული ტბა არ გაშრებოდა და ჰაერი არ განიწმინდებოდა სხვა-და-სხვა მავნე ბაქტერიისაგან.

II

განვლო დიდმა ხანმა. სხვა ქვეყანაში მყოფს ფრიად საგულისხმო და სასიხარულო ამბები მომდიოდა. სიხარულისაგან ფეხზე არ ვიდექი და მოუთმენლად მოველოდი ჩემ სამშობლო ქალაქის ნახვას; დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი დედა ქალაქი,—სადაც დავიბადე და სადაც პირველად გავიგონე დედის იავ-ნანა,—განსპეტაკდა, განიწმიდა; დარწმუნებული ვიყავი, რომ სულ სხვა, დროს შესაფერი აზრები, იდეები და მოთხოვნილებანი დაებადა; კმაყოფილი და მოხარული, რომ მან ძველი ქერქი მიატოვა და ახალ, ეხლანდელ ცხოვრების შესაფერათ შეიმოსა, განვიზრახე გაემგზავრებულ, დაუდეგარ ნახვის სურვილით და გამოვეშურე სამშობლო ქალაქისაკენ.

III

საუცხოვო საღამო იყო; ჩამავალი მზე ცეცხლის ბორბლის მზგავსად აქაიქ კიდევ აწვდენდა მიბნედილ, მისუსტებულ სხივებს და, თითქო დასამშვიდობლად მიდისო, ეთხოვებოდა არე მარეს. მე ქალაქის ბაღს მივუახლოვდი. ბაღი, მოღუშული და მომტირალი, მწყრალად გამოიყურებოდა; შევედი ბაღში თუ არა, პირველად თვალში მისი სიბინძურე მეცა.

გაიარა პატარა ხანმა და ცელა-მიწას ბნელი ზეწარი გადაეფარა. ბაღში მეტად ბნელოდა. ერთ მხარეს გარდა, მთელი ბაღი წყვდიადით იყო მოცული და უნდა სიმართლე ვსთქვა, რომ ამ მხარეს მოშორება და სხვა მხარეს სასეირნოთ გადასვლა მეტათ საშიში და სახიფათო რამ იყო.

მახსოვს, ერთ დროს (დიდი ხანი არ არის მას აქეთ) ბაღის ორ ალაგს ვითომ და ელექტრონი ანათებდა და სასიამოვნოც იყო მაშინ ბაღში სეირნობა; ეხლა-კი, არ ვიცი, რა მიზეზების გამო, ეს განათება გაუუქმებიათ და მთელი ბაღი შავ სუდარაში გახვეულა; ალბად განახლებულმა გამგეობამ, ქალაქის ინტერესებისათვის გულ-მტკივნეულმა სხვა-და-სხვა ღონისძიება შეიმუშავა, რომ ქალაქს მეტი ფული დარჩეს. საოცარია, გაუგებარი ეს ამბავი! დალოცვილებო, დილით საღამომდე და საღამოდან დილამდე ბაღის გზებს სტკეპნიან და იმას-კი ვერ ჰხედავენ, რომ ბაღში ბნელა, ბაღს სინათლე აკლია?!

გადავავლოთ ბაღში მოსეირნე საზოგადოებას თვალი და ჩავუკვირდეთ, დავსტკბეთ მისის ცქერით.

საზოგადოება ბაღში მეტად აჭრელებული იყო, ყველა აქ იყო თითქმის. ტყუილად კი არ ამბობენ ქუთაისზედ,—თუ ვისიმე ნახვა გსურს, ბაღს ან ლალიძეს ესტუმრეო. ახალგაზდობა არშიყობდა და ფუქსავატობდა; მათ შორის ბევრი ახალგაზდა დიპლომიანიც გახლდათ; მათმა ფრაზებმა და მხოლოდ ფრაზებმა ყურთა სმენა წაიღო; რაღაც დისსონანსივით ისმოდა და ჰრეკდა მათი ხმა; ისმოდა საერთო სიცილი, ხარხარი; ქალები კისკისობდნენ და რუსულ-ქართულს ერთმანეთში დომხალივით ურევდნენ.

— ოჰ, ღმერთო ჩემო!—მომესმა ქალის ნაზი ხმა,—როგორ დაჩიავდა ჩვენი ახალგაზდობა; „ужъ слишкомъ измельчала наша молодежь“!

— რით იხატება ეს ახალგაზდობის დაწვრილმანება და დახურდავება, ნება მომეცით გკითხოთ,—ალერსით შეეკითხა ქალს ლურჯ ქუდოსანი.

— Что вы, ей Богу, азбучную истину спрашиваете!

— ოჰ, ამიხსენით!—დაჟინებით ეკითხება ახალგაზდა.

— როგორ არ იცით ყმაწვილო; ей Богу, მაკვირვებს თქვენი კითხვა; уѣзжаете въ Россію, женитесь тамъ და ჩვენს ქა-

მიახლეთა თანადასწრებით მიაბარეს მიწას საბრალო მსხვერპლი სამსახურისა!.. კუბოს გვირგვინიც ამკობდა შემდეგის წარწერით რუსულად და ქართულად: „უდროოდ დაღუპულს მტრის ხელისაგან ჭაბუკს დათიკო გოგოლაშვილს ბათუმის ფოსტის თანამოსამსახურეებისაგან“.

ტრ. ინასარიძე.

**რიონ გაღმის კუთხე.** რადგანაც თავ-თავის დროზედ წვიმა გვაქვს, ამის გამო აქეთ სიმინდის ყანები საქებია. არც ვენახს უჭირდა რამე, რომ სეტყვას არ წაეხდინა, რომელმაც გადმოიარა ზოგიერთ სოფლებზედ ივნისსა და ივლისში; ეს პირველი შემთხვევაა ჩვენს კუთხეში, რომ ასეთი მსხვილი სეტყვა მოვიდა. ყველანი გაკვირვებით ათვალიერებდნენ სეტყვას. ვენახი ძლიერ წაახდინა: ყურძენს მარცვლები მთლად დააყრევინა. ისე მაგრად სცვივოდა, რომ თიხის ქურქელი დაამტვრია. ხალხიც შეაშინა ამ ბუნების მოვლენამ.

ს. ბზვანში გარდაიცვალა მდიდარი გლეხი ის. თუთაშვილი, რომელსაც დარჩა შენახული თუ გასესხებული ფული ათი ათას მანეთამდე. თუთაშვილი ერთ ღამეს გარეთ წოლილა სახლის აივანში და რაღაცას უჭმევია ტანზედ; მეორე დილას მთლად გასივდა და საღამოსვე გარდაიცვალა. მეტად ძუნწად სცხოვრობდა: ქალამნებით და ძველის ტანისამოსით დადიოდა, იკვებებოდა მჭად ლობიო-ტარანით და დიდის გაჭირვებით შეიძინა ფული. როგორც სთქვეს, მოციქულს უნდა ებარებინოს მისთვის.

ამას წინად სოფ. ვანში ღამის 12 საათზედ ვიღაც ბოროტ-მოქმედმა კინაღამ გადასწვა ვანის საზოგადოების მამასახლისი ვ. მაღლაკელიძე. ბოროტ-მოქმედს ჩაუტანია გრძელი ჭოკი, რომლის წვერზედ მიუკრავს ბამბები და ძველი ძონძები, წაუსხამს ნავთი, მოუკიდებია ცეცხლი და ვენახის ღობიდგან მოუნდომებია ამ ჭოკით შეენთო ცეცხლი სახურავისათვის, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ველარ მისწვდენია ჭოკით ღობიდგან და ღობეზედ გადაბიჯება კი ვერ გაუბედია. ამასობაში ერთ მეღუქნეთაგანს გამოუხედია გარედ და დაუნახავს ჰაერში აპრიალებული ცეცხლი. ჯერ ძლიერ შეშინებოდა. მერმედ გაქცეულიყო და მიეძახებინა მამასახლისისათვის. მაშინვე გამოვარდნილიყვნენ გარედ, მოეყარათ თავი მეზობლებსაც, შემოჰხვეოდნენ გარს ვენახს და ბოროტ-მოქმედი იქვე ვაზებში ენახათ მიმალული. დააკავეს მაშინვე, შეუყენეს ოქმი და გადასცეს ბაღდადის ბოქაულს.

ბაღდად-ოჩპირის გზაზედ გაძარცვეს ებრაელი, რომელსაც წაართვეს 39 მანეთი და რამდენიმე კაპეიკი. დამნაშავე შეიპყრო ვანის მამასახლისმა ვ. მაღლაკელიძემ და წარადგინა გამომძიებელთან. გამოძიების შემდეგ ორივე ბოროტ-გამზრახველნი გამომძიებელმა ჯერ-ჯერობით გაანთავისუფლა.

ს. ვანში ერთმა მეფართლე ებრაელმა ვაჭრობის დროს სკამი დაჰკრა თავში და გაუტეხა ქრისტეან მუშტარს, ს. საპაიჭოს მცხოვრებს ადეიშვილს. ამ გარემოებამ მეტად ააღელვა მთლად ქრისტეანობა და გლახა დღეს დააყენებდნენ ებრაელებს, რომ მათ ბედზე ბოქაული, განსვენებული ს. იაშვილი არ ყოფილიყო იმ დღეს იქ და არ შეეჩერებინა ხალხი. ბოქაულმა შეადგინა ოქმი და გადასცა მთავრობას. ებრაელმა მეორე დღეს აძლია ქრისტეანს 150 მანეთი, მაგრამ არ შეურიგდა.

პარკობის შემდეგ მეტად გახშირდა სოფლის სამიკიტნოებში „შარმანკა“ და ქეიფი, რასაც ხშირად მოჰყვება ხოლმე ჩხუბი. წარსულ კვირას, ს. შუამთას მოუხდათ ჩხუბი ვანის საზოგადოების მცხოვრებთ სანადირაძეს და რობაქიძეს. პირველმა დასჭრა მეორე ხმლით სამს ადგილას თავში. როგორც უბნობენ დამსწრენი, სანადირაძე მიდენილა დილიჟნით ვანში; ლაპარაკის შემდეგ შუამთის დუქნებიდან რობაქიძე გაჰკიდებია უკან თოხით; მაშინ სანადირაძესაც გამოუღია ხმალი და დაუჭრია რობაქიძე. საჭიროა მეშარმანკებს აეკრძალოს სამიკიტნოებში და ქუჩა-ქუჩა სიარული.

21 ამ თვეს ღამე ს. საპაიჭოში შემდეგი კაცის კვლა მოჰხდა:

ტობანიერში მცხოვრებს დ. სანიკიძეს ჰყავდა ცოლად საპაიჭაველი ადეიშვილის ქალი. ქმარს და ცოლს დიდიხანია რაც უკმაყოფილება ჰქონიათ. ამ ბოლოს დროს ქმარი ბათუმში სცხოვრობდა და ქალი-კი თავის დედმამასთან იყო. ვიღაც შესულა შუაღამისას სახლში და მძინარე ქალისათვის რევოლვერი დაუცია ორჯერ და გაქცეულა. როგორც უბნობენ, ქალის ძმას ვითომ მკვლელი კიდევაც უცვნია, ვინც იყო. 22 ამ თვეს სამტრედიდგან მოვიდა ბოქაული იაშენკო და შეადგინა ოქმი, რომელიც გადასცა გამომძიებელს.

წელს საბალახო მთაზედ ავადმყოფობა გაუჩნდა საქონელს: გაჩნდა თურქული და სულ ერთიანად მიწაზედ დაჰყარა საცოდავი საქონელი. ხალხი გარბის მთაზედ და დიდის გაჭირვებით ჩამოჰყავთ თავ-თავიანთი ხარები, რომლებიც-კი ცოცხალი ხვდებათ. მწყემსებს-კი მაინც ქირა—ორი მანეთი—უკლებლივ მიაქვთ.

სიმინდი დღემდე ფუთი 65 კაპეიკი იყო, დღეს-კი 55 კაპიკზედ დავიდა. სვირიდგან ჩამოტანილი ღვინოები-კი ჩაფი სამ მანეთად და ორ აბაზად იყიდება.

17 ამ თვეს ს. ობჩაში დაასაფლავეს განსვენებული ბოქაული სიმონ იაშვილი, რომელიც, როგორც მოეხსენებათ „ივერიის“ მკითხველებს, ცხრა ივლისს ამაღლებაში მოჰკლა სიმონ წერეთელმა. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო; კუბოს ამშვენებდა თორმეტამდე გვირგვინი წარწერით: განსვენებული 27 წელიწადი მსახურებდა და თავის მოვალეობას ერთგულად ეკიდებოდა. მკვლელი 10 ივლისს დააპატიმრეს ქუთაისიდგან მიმავალი ოკრიბისკენ, მამასახლისი ხარაბაძე-კი ჯერ ცოცხალია და საავადმყოფოში წევს.

ვლადო ბზვანელი.

**სოფ. ჩონთში** (თიანეთის მაზრა) ერთს თუშს, გიო იტურიძეს ამას წინად ქისტებმა 57 სული ცხვარი მოჰპარეს. გზაზედ საბეითალო დარაჯებმა ქისტებს დააყრევინეს 47 ცხვარი და პატრონს შეატყობინეს. როცა იტურიძე ცხვარს შინისკენ მოერეკებოდა, ხელმეორედ დასცემიან ავაზაკები, თითონ მოუკლავთ, გვამი წყალში გადაუგდიათ და ცხვარი გაურეკიათ.

# კავკასია

უმაღლესს მთავრობას, როგორც გაზ. „კასპ.“-ს ატყობინებენ, განუზრახავს ბაქოში გრადონაჩალნიკის დანიშვნა. ჰფიქრობენ აგრეთვე ბაქოში თვითმმართველობის გაუქმებას და ისეთის მაგისტრატის შემოღებას, როგორიც ვარშავაშია.

**ქ. პეტროვსკი, 21 ივლისი.** ამ ორიოსამი დღის წინად საბანაოდ გიახელით; ქარს ზუზუნი გაჰქონდა, რის გამოც ზღვა საშინლად ჰღელავდა. ბანაობა ველარ გავბედე და აქვე ნაპირს დავჯექ აქაფებულ ტალღების საცქერლად. რამდენიმე კაცი კი, ჩემზედ გულადი, უშიშრად ბანაობდა, უცბად მომესმა ხმა „მიშველეთ, ვიღრჩობიო“. მივიხედე და, ასე 30—35 საჟენის სიშორეზედ ზღვის ნაპირიდგან, 15—16 წლის ყმაწვილი შველას ითხოვდა. აქვე 10—11 საჟენის მანძილზედ ბანაობდა ერთი ახალგაზდა კაცი. როგორც კი გაიგო, შველას ითხოვენო, მაშინვე გაექანა მისკენ, მიცურდა ყმაწვილთან, მაგრამ საწყალს ტალღებმა სძლია. როდესაც მოავლო ხელი და ნაპირისაკენ გამოყვანას უპირებდა, იგრძნო, რომ თვითონაც იძირებოდა, მიანება ბავშვს თავი და მარტო უნდოდა გამოცურებულიყო, მაგრამ ბავშვმა იხელთა დრო და ფეხზედ მოეკიდა; ასტყდა წივილ-კივილი. ჯერ ერთი ითხოვდა შველას, ეხლა კი ორნი იდგნენ სიკვდილის პირას. აქვე გორაზედ სდგას ბოძი, რომელზედაც საშველი პურთი და თოკი ჰკიდია. ქალაქის მმართველობისაგან დაყენებული დარაჯი სადღაც წაბრძანებულიყო. ბოლოს იპოვეს, მაგრამ გვიანღა იყო. ნახევარ საათმა გასტანა, როცა მეთვალყურე ბურთით მობრძანდა და როცა უკვე რამდენიმე კაცი შეცურდა საშველად. ბოლოს რის წვალებითა და ტანჯვით, ეს ორი მსხვერპლი სიკვდილს ხელიდგან გამოსტაცეს.

ძველგალაველი ნიკო.

# რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა იმის შემუშავებას, რომ მარტივი საქალაქო დებულება შემოღებულ იქმნას იმ სამაზრო ქალაქებში აღმოსავლეთის განაპირად, სადაც ამ ჟამად ქალაქის მეურნეობას განაგებს პოლიცია.

— ხმა დადის, რომ მალე მოუწოდებენ კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს ის, თუ როგორ გაკეთდეს ბოძებზედ ჩამოკიდული ელექტრონის რკინის გზა პეტერბურგსა და მოსკოვს შორის.

— კიევის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში გათავდა თხოვნათა მიღება. პირველ კურსზედ მიუციათ 1020 თხოვნა, შემდეგებზედ—185. პირველ კურსზედ იქნება მიღებული მხოლოდ 330 კაცი კონკურსით, ხოლო დანარჩენებზედ ძალიან მცირე რიცხვს მიიღებენ, რადგან ვაკანსიები ცოტაა.

— ტვერში სექტემბრიდან ქ-ნი სვეშნიკოვისა აარსებს კერძო დედათა სასწავლებელს ერთის წლის კურსით სოფლის სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად. უეგზამენოდ მიიღებენ გიმნაზიის 7 კლას და ეპარქიის სასწავლებელ გათავებულებს, ხოლო დანარჩენთ ეგზამენით. სწავლის ფასი იქნება 20 მ. სასწავლებელში ცხოვრებისათვის მოსწავლე გადიხდის სულ 7 თვეში 100 მან.

— მოსკოვს უნდა, რომ ჰაერში გაბმულ ტელეფონის მავთულების მაგიერ, მიწაში გაიყვანოს სატელეფონო მავთულები და ბოძები მოსპოს.

— დიდ-ძალი ხალხი მისწყდომია წელს კავკასიის სამკურნალო წყლებს: პიატიგორსკსა, ესენტუკსა და ჟელეზნოვოდსკს.

— ექიმმა-ქალმა ს. ბროიდომ (ებრაელია, რუსეთიდან) რომელმაც პარიჟში გაათავა კურსი სამკურნალო ფაკულტეტზედ, ამას წინად მიიღო ხარისხი და თანამდებობა ჰელზინგფორსის სანიტარ ექიმისა. ეს პირველი მაგალითია, რომ ექიმ ქალს ამისთანა თანამდებობა დაეჭიროს.

— განზრახვა აქვთ ხარკოვში დააარსონ დედათა სავაჭრო სკოლა.

# უცხოეთი

**ავსტრია-უნგრეთი.** ლვოვის გაზ. „გაზეტა ნაროდოვა“-ში შემდეგი ცნობებია მოყვანილი უნგრეთის პარლამენტში მომხდარ ამბების შესახებ:

ივლისის 16-ს უნგრეთის პალატის კრების დროს ოპოზიციის დეპუტატმა პაპმა წარადგინა 10,000 კრონი, რომელიც მის მოსასყიდად გადაეცა, ამასთანავე დეპუტატმა აცნობა კრებას, თუ როგორ სცდილობდნენ ერთ ოპოზიციონურ გაზეთის მოსყიდვას. ოპოზიცია მთელს ბრალს ამ საქმეში პირდაპირ უნგრეთის ახალ მინისტრ-პრეზიდენტს გრაფ კუენ-ჰედერვარისა სდებდა. პარლამენტმა ამ საქმის გამოსაძიებლად განსაკუთრებული კომისია აირჩია. შესძლებს კი ეს კომისია საქმის გამორკვევას? განა მართლა სცადა კუენ-ჰედერვარიმ მოსყიდვით გამარჯვება ოპოზიციაზედ, თუ ამ ხმის დაყრა მხოლოდ ხერხი იყო ოპოზიციის მხრივ? საზოგადოებაში იმ აზრისანი არიან, რომ მინისტრ-პრეზიდენტს მართლა განზრახვა ჰქონდა მოსყიდვით ეძლია ოპოზიციათ. მხოლოდ, რატომ ისეთ, შედარებით, უმნიშვნელო კაცს მიმართეს, როგორიცაა დეპუტატი პაპი, და არა რომელსამე შესანიშნავ დეპუტატსაო. მართალია, პაპმა მიღებული ფული პარლამენტს წარუდგინა, მაგრამ რამდენი დაიტოვეს მისმა ამხანაგებმა? ეჭვსა ჰბადებენ სწორედ ოპოზიციის მემარჯვენენი, რომლებიც რადაც აუხსნელ მიზეზთა გამო ამ უკანასკნელ ხანებში მოუჩნდნენ.

მეტად ძნელია ამ ახირებულ საქმის გამორკვევა. მცირედენ სინათლეს ისევ მომქმედ პირთა, განსაკუთრებით შუა კაცთა ზნეხასიათი ჰფენს ამ სამარცხვინო საქმეს.

მოთავედ კიდეც მარტინ დინესი ყოფილა. ამ რამდენისამე ხნის წინად დინესს სახელი ჰქონდა გავარდნილი, როგორც ოპოზიციის გაზეთების შესანიშნავს პუბლიცისტს. თუმცა არა თავის სამწერლო ნიჭითა და სამსახურით მოიპოვა გავლენა საზოგადოებაში, არამედ მოხერხებითა და გაიძვერობით, რომლის მეოხებითაც ათასგვარ საქმეებს არიგებდა. აპრილის დამლევამდე დინესი ოპოზიციის გაზეთ „ფუგ. მაგ“.-ის უფროს რედაქტორად იყო, შემდეგ გაეშორდა ამ რედაქციას და ერთ ადგილობრივ წიგნის სავაჭროს აგენტობას ეწეოდა. ივლისის 15-დგან კი დინესს თითქმის ყოველ დღე ჰხედავდნენ ეტლში ერთად მეორე ოპოზიციონურ გაზეთის „ნ. პ. ან.“-ის რედაქტორ არტურ ზინგერთან, რომელზედაც აგრეთვე ეჭვი აქვთ. ამ ხნის განმავლობაში დინესს გამოუცხადია ოპოზიციისავე დეპუტატ ნესსის თამასუქები. როდესაც მოსყიდვის ამბავი გამომჟღავნდა, დინესმა გაზეთში გამოაცხადა,—მართალია გადავეცი დეპუტატ პაპს 12,000 კრონი, მაგრამ ეს სრულიად კერძო საქმე იყო, ერთი იმ საქმეთაგანი, რომელნიც არა ერთხელ მქონია ჩემთხსენებულ დეპუტატთანაო. ამ ფულიდგან 2,000 კრონი საშუამავლოდ მე ავიღეო; ამასთანავე მზადა ვარ ყოველგვარი ცნობები მივცე პარლამენტის საგამომძიებლო კომისიას, თუ კი ეს საჭირო იქნებაო. მაგრამ, სანამ კომისია თავის მოქმედებას შეუდგებოდა, დინესი ცამ ჩაჰყლაპა, თუ დედა მიწამ, ვერავინ გაიგო. შემდეგ შეიტყვეს მხოლოდ, რომ ვენისაკენ წასულა იმ ქალთან ერთად, რომელსაც განზრახვა ჰქონდა კარგა ხნობით გასცლოდა უნგრეთის არე-მარეს.

მეორე მოქმედი პირი—არტურ ზინგერია. იგი ვითომ დიდად აღშფოთებულია, რომ ციდს სწამებენ, ასეთ სათაკილო საქმეს აბრალებენ, და თავის გაზეთში აცხადებს,—ყველანი სამართალში უნდა მივსცეო, რომელთაც ჩემზედ მოიტანეს ეჭვიო. მხოლოდ თავის წერილში ზინგერი ამას ამბობს იმის თაობაზე, რა მიზეზი იყო რომ უკანასკნელ ხანებში ის და დინესი განუყრელად ერთად ჰყვნენ. სამაგიეროდ ზინგერი ამბობს,—დინესს კარგა ხანია უნდოდა უნგრეთს გასცლოდა და ეხლა წავიდა კიდეც სრულიად მარტოკაო. სჩანს, რომ ზინგერი და დინესი მეტად დაახლოვებულნი ყოფილან, თუ ასე დაწვრილებით იცოდნენ ურთ-ერთის სურვილ-განზრახვანი.

დეპუტატ პაპს 10000 კრონი ნაღდ ფულად-კი არ მიუღია, არამედ ორ შემნახველ წიგნაკის სახით, რომელნიც ემერიხ რიტერის სახელზედ ყოფილა დაწერილი. ახლა დანამდვილებით იციან, რომ ამ სახელისა და გვარის კაცი მხოლოდ ერთია მთელს ბუდაპეშტში; ეს კაცი ვექილია გრაფ ვლადისლავ საპარისა—ფიუმეს გუბერნატორისა. რიტერი უარსაა,—არაოდეს არ ჩავრეულვარ პოლიტიკაშიო. მაგრამ იგი უკანასკნელ დღე-

ლებს-კი... никакого вниманія; фи! Это прямо противно, ღმერთმა კი იცის!

— როგორც გატყობთ, ძლიერ გაუწიწმატებიხართ, ბატონო ჩემო, ჩვენს ახალგაზდობას,—მიუგო ლურჯ ქუდოსანმა.—ალბად ყურადღების ღირსი არ გგონიათ

— Извините, пожалуйста,—გაწიწმატდა ბურბუშელა ქალი,—для меня положительно безразлично; нуль вниманія, фунтъ презрѣнія на вашихъ...

უეცრივ ვიღაც ქალმა შეჰკივლა:

— Ахъ, Боже мой! неужели Вы правду говорите?! არა, თუ ღმერთი გწამთ, მართალი მითხარით, ანდრო, неужели Горькій пріѣхалъ; ვერ წარმოიდგენთ, ანდრო, какой талантъ, Горькій, какая глубина мысли, знанія! Какая художественная и сценическая пьеса „На днѣ“! Горькій—это, просто душка!

— გინახავთ სცენაზე „На днѣ?“—ეკითხება ყმაწვილი.

— არა, არ მინახავს; წარმოიდგინეთ, არც-კი წამიკითხავს. მე მხოლოდ ჩემმა „პოდრუგამ“ მიამბო თავის ძმის ნალაპარაკევი. ყმაწვილს გაეცინა და, რომ არ შეემჩნიოსო, გვერდზე მიიხედა.

რა ვქნი, ეს რაები მესმის?—ვეკითხები მე ჩემ თავს. ნუ თუ ეგრე უნდა დახლუნგდეს ადამიანის გონება? ნუ თუ ყოველივე, რასაც ჩემი თვალები ჰხედავს ჩვენის ქალების დამახასიათებელი თვისებაა?! ნუ თუ ყველანი ამ ქარაფშუტა ქალისთანანი არიან?!

— მაგისთანაა თითქმის ყველა, მაგისთანა!—ჩამძახა იდუმალმა ხმამ. ეგ კიდევ რა არის. ეგენი უკეთესი ნაწილია ჩვენის ქალებისა!

რამდენსამე წუთს ერთ ადგილას გაოგნებული ვიდექი; ბოლოს, როცა გონს მოველ, ბაღის კარებისაკენ გავეშურე, ის იყო ვუახლოვდებოდი, რომ მთვარემ გამოანათა და ჩვენის მამების მელოტი თავები ელვასავით თვალში მეცა; ძალა უნებურად შევჩერდი და დავაცქერდი ამ ჭკუა-გონების საუნჯეებს. ბევრი მათგანი ვიცანი; ზოგი ამთქნარებდა და თან ლუღლუღებდა:

— აი, დალახვროს ღმერთმა,—ამბობდა ერთი,—წუხელ გათენებამდე ბანქოს ვთამაშობდი და არ მიძინია.

ზოგი-კი ვარსკვლავებსა სთვლიდა და მთვარეს უსტვენდა, დანარჩენები კლუბში ან სასეირნოდ ეპატიჟებოდნენ ერთმანეთს.

გაშმაგებული ვიდექ და ჩემ ყურთა სმენას და თვალთა ხედვას ვკიცხავდი, და, როდესაც დავრწმუნდი, რომ ყოველივე, რაც ვნახე და ვისმინე, სიმართლე იყო, ნამდვილი და არა სიზმარი, უცებ წამოვიძახე გიჟივით: ოჰ!—ღმერთო ჩემო, როს გველირსება ჩვენ გაღვიძება“ და ბაღიდან შურდულივით გამოვვარდი.

— ნუ-თუ ამას მოველოდი შენგან, სამშობლო მხარევ? ნუ-თუ ჩვენი საზოგადოება ისევ იმ წერტილზედ არის გაყინული? ნუ-თუ ერთი ნაბიჯიც ვერ წარსდგა წინ წარმატების გზაზე?—ვეკითხებოდი ჩემს თავს და გაჩქარებით მივეშურებოდი, რომ მოვშორებოდი ამ მხარეს და დავიწყებისათვის მიმეცა თავი.

IV

ბაღს მოშორებული ვიყავი, რომ ნაცნობის ხმა მომესმა. მივიხედე და დავინახე ჩემი გულითადი მეგობარი და ამხანაგი. მისმა დანახვამ სწორედ სიამოვნებით აავსო გული და მისაგებებლად გავეშურე მისკენ. რამდენიმე ძმური სიტყვა ვსტყორცნეთ ერთმანეთს და შემდეგ გასაგრილებლად ლაღიძესთან მიმიპატიჟა. ვერ გავუტეხე ხათრი და თანაც მსურდა ერთის თვალით გადამეხედა კიდევ იქ მყოფ საზოგადოებისთვის.

დიდებულ სურათს წარმოადგენდა ლაღიძის წყლის სასმელი. ელექტრონით განათებული ადგილი ხალხს ვერ იტევდა. მოსამსახურე ბიჭები ვერ ასწრებდნენ წყლის მოტანას და ფულის მიღებას; დიდ საზოგადოებას მოეყარა თავი; აქ ჰნახავდით ყოველის წრისა და წოდების წარმომადგენელს. პირველ დანახვაზე ამ სხვა-და-სხვა ჯურის ხალხის ერთ ადგილს თავ-მოყრამ სიამოვნებით აავსო გული. ვსთქვი, არ ყოფილა ჩვენი საზოგადოება მთლად წყალ-წაღებული-მეთქი, როგორც ეტყობა, ერთი ფეხი მაინც წინ გადაუდგამს წარმატების გზაზე და დაუწყვია იმ დიდებულ იდეის განხორციელება, რომელიც დღევანდელმა ცხოვრებამ წარმოშვა; ეს იდეია გახლავს იდეია ძმობისა, ერთმანეთთან დაახლოვებისა, ერთმანეთის შეგნებისა. ამ გარემოებამ ოდნავ დამამშვიდა. კუთხეში დავჯექი და წყალი მოვითხოვე. ამხანაგი-კი ვიღაც ნაცნობს გაჰყვა. სანამ წყალს მომიტანდნენ, საზოგადოებას თვალიერება დავუწყე; მაგრამ, ვაი, ამ თვალიერებას და დაკვირვებას! სურათი სულ ერთიანად შეიცვალა. ძმობის, ერთობის და შეგნების მაგივრად აშკარად და ნათლად დავინახე, რომ შენ-ჩემობას, მტრის პირში ლაქუცს, სხვის უსამართლოდ ლანძღვაგინებას, მოხელეობის სურვილს ღრმად გაუდგამს ფესვი და თითქმის ყველას ძვალრბილში გასჯდომია.

ხალხი აუარებელი იყო, ბუზივით ირეოდა, ისმოდა საერთო სიცილი, ხითხითი, ხმაურობა; ერთი ცოცხალი, გონიერი სიტყვა ჩემ ყურს არ სმენია; მთლად ამ საზოგადოების ლაპარაკი, სჯა-ბაასი არშიყობის, ამინდის, ქათინაურების, სხვის ტალახში გასვრისა და ჩირქის მოცხების გარშემო ტრიალებდა; ხანდისხან მაღალ ფრაზას, მაღალის სიტყვებით შეზავებულს მოჰკრავდი ყურს, მაგრამ მაშინვე შეატყობდი, რომ ეგ ფრაზა გულის სიღრმიდან არ იყო ამომსკდარი.

ფიქრებმა წამიღო და ვერც-კი ვამჩნევდი, რომ ჩემი მეგობარი მოსულიყო და ცივს წყალს მიირთმევდა. ფიქრებმა-კი მწვავე დარდები ამიშალა და, როცა გამოვერკვიე, მივმართე ჩემს მეგობარს:

— მეგობარო, მითხარი, ამიხსენი, თუ ძმა ხარ, რას წარმოადგენს დღეს ჩვენის ქუთაისის საზოგადოება, რა აზრი, რა იდეა ასულდგმულებს მის უმრავლესობას? მითხარ გულ-ახდით ყოველივე, ნურაფერს ნუ დამიმალავ.

მეგობარმა ამოიოხრა და გულ-დასმით, დალაგებით დამიწყო საუბარი. ბოლოს ასე დაათავა: „ერთის სიტყვით, ჩვენს საზოგადოებაში არავითარი ცოცხალი აზრი, იდეია არ ტრიალებს, არავითარი საზოგადო ინტერესი არ მოეძევება. ჩვენი მოწინავე საზოგადოება მძოვრად გადაიქცა და მის ძარღვებში სისხლი შეჩერდა. დაჩიავებამა და დაწვრილმანებამ იმ წერტილამდე მიაღწია, რომ ჩვენი თაობა ჩინოვნიკობის, მოხელეობის მორევში ერთიანად ჩაიფლა და საზოგადო პრინციპათ შენ-ჩემობა, კერძო „მე“-ს სამსახური გამოაცხადა, რომლის დაკმაყოფილებისთვის სინიდისს და პატიოსნებას ადვილად ჰყიდის. აი, ჩვენი, საზოგადოების ნამდვილი სურათი! აი, მისი იდეალები და მისწრაფება“!

მომწყდა წელი და გული ნაღვლით ამევსო, რა სიხარულით მოვისწრაფოდი და რა დამხვდა-კი,—ვამბობდი გულში და გადავსწყვიტე, ისევ მალე გავცლოდი სამშობლო ქალაქის არე-მარეს.

მიშო ბეკოშვილი.

ებში ეტლში მჯდომარე ენახათ დინესთან ერთად. დამოუკიდებელ დასის მეთაურთა უკანასკნელ კრებაზე ის აზრი გამოთქვათ რომ ფული ოპოზიციის მოსასყიდად გრაფ საპარისაგანაა წარმოგზავნილით.

არც-კი უარ ჰყო ეს აზრი გრაფ საპარიმ, რომელმაც საქვეყნოდ განაცხადა,—მართალია გადავეცი 12,000 კრონი დინესს დეპუტატ პაპის გადასაცემად, და ეს ფული ჩემის პირად მოსაზრებით მოვიქმედე ზოგიერთ გაიძვერათა ჩაგონებით, მხოლოდ მინისტრ-პრეზიდენტი გრაფ ჰედერვარი აქ სრულიად არაფერ შუაში ყოფილაო. ამასთანავე გრაფ საპარიმ თავი გაანება ფიუმეს გუბერნატორობას.

თუ ამ საქმეში გრაფ საპარის სახელმა ამოჰყო თავი, საფიქრებელია, რომ ვერც გრაფ კუენ—ჰედერვარი დარჩება ეჭვს გარეშე. რა სარგებლობა უნდა ჰქონოდა გრ. საპარის ოპოზიციის დეპუტატთა და გაზეთების მოსყიდვით? მხოლოდ მინისტრ-პრეზიდენტისათვის იყო დიდად საჭირო როგორმე გადაებირებინა ოპოზიცია, თუ გინდ მარტო პირად თავმოყვარეობის დასაცავად, რადგან სიტყვა მისცა იმპერატორს,—შუა აგვისტომდე პარლამენტში ყოველივე დამშვიდებული იქნებაო. ისეთ ღონისძიებას, როგორიცაა მოსყიდვა, მხოლოდ ეხლანდელი პრემიერი თუ მიჰმართავდა, რადგან კუენ-ჰედერვარი ყველაზედ მდიდარია მთელს უნგრეთში. მისი მამული 40,000,000 კრონადაა შეფასებული, გარდა იმ ადგილებისა, რომელიც ბიძამ უანდერძა ხორვატიასა, სლავონიასა და კრაინაში. რა უნდა იყოს მისთვის დესპან ნესსის 15,000 კრონის ვექსილების გამოყიდვა, ან კიდევ 12,000 კრონის „ფეშქაში“ ოპოზიციის ორ დეპუტატისათვის?.... ტყუილად-კი არ ამბობდნენ,— კუენ-ჰედერვარის მოკუმშული მუშტი, რომელსაც ზაგრებში უჩვენებდა ხოლმე, ბუდაპეშტში გაიხსნებაო.

მოგეხსენებათ, რომ პოლიტიკაში ადგილი არა აქვს გრძნობიერობას: პოლიტიკა რეალურს ნიადაგზე უნდა იყოს დამყარებული. აბა, რაღა იქნება ბაჯაღლო ოქროზე უფრო რეალური? ეთიკა აქ არაფერ შუაშია; იგი კარგა ხანია გვერდ ხედ მიაგდეს უნგრეთში; ახლანდელი ამბავი პირველი ხომ არაა უნგრეთის პოლიტიკაში.

## თეატრი და ხელოვნება

**პეტროვსკი.** 21 ივლისს გვეწვია ბ-ნი სლავიანსკი თავისის დასით. ეს ზაფხული ისე მიდის, რომ წარმოდგენა არ გვღირსებია, და, რასაკვირველია, კლუბის დარბაზი აუარებელი ხალხი მიაწყდა ყოველ სიმღერის შემდეგ ვაშას ძახილს დასასრული არა ჰქონდა; რამდენიმე სიმღერა გაამეორებინეს. სიმღერის დროს მეორე განყოფილებაში ერთი აურ-ზაური ატყდა: სკამებზედ მოუვიდათ ლაპარაკი მანდილოსნებს; ხელად გაჩნდა ორი ბოქაული და რის ვაი-ვაგლახით დააშვიდეს მანდილოსნები.

ძველგალავნელი ნიკო

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

26 ივლისი.

**სტამბოლი.** მაკედონელთა კომიტეტებს აზრად ჰქონდათ მოქმედება დაეწყოთ 2 აგვისტოს, ბერძნების წმ. სტეფანეს დღეობას, მაგრამ მოქმედების ნიშანი მისცეს წარსულ კვირას. მონასტირიდან კონსულების მიერ გაგზავნილ დეპეშებში, რომლებიც დაგვიანდა სატელეგრაფო მავთულების დაწყვეტის გამო, შემდეგი დამატებითი ცნობებია. მეამბოხენი რესნაში დაეცნენ რამდენსამე სოფელს; 6 ადგილას მათ ჯართან ჰქონდათ ბრძოლა, ხოლო ზოგიერთ ადგილას კი—სოფლის მაჰმადიანებთან. მეამბოხეთა თხუთმეტ უფროსთა შორის, რომლებიც აქ მოვიდნენ, არიან პოლკოვნიკი იანკოვი და სარაფოვი. მონასტირის არემარეში და მონასტირში ხალხი აღელვებულია; ვაჭრობა და მიმოსვლა შეჩერებულია. მონასტირის ვალიმ დივიზია მოითხოვა; ერთი ბრიგადა და რვა ბატალიონი გზაზეა. სულეიმან-ფაშას მიენდო უფროსობა კორპუსისა, რომელმაც აჯანყებულები უნდა დაიმორჩილოს. კოჩანისა, კრატოვისა, ეგრი პალანკის არემარეში გაჩნდა მეამბოხეთა დიდი ჯგუფები. უსკიუბს ჯარი მიაშველეს. ხილმიფაშამ გადასდო თავის მოგზაურობა და დაბრუნდა უსკიუბში.

**სოფია.** ნამდვილია, რომ ამბოხება მოედო ბიტოლისა, უსკიუბისა და სალონიკის ვილაიეტებს. მეამბოხეთა გუნდებმა, რომელნიც შეიარაღებულნი არიან „გრა“-ს სისტემის თოფებით, ააოხრეს თათრების სოფლები, ყაზარმები, სადგურები, შენობები და ხიდები. მეამბოხეთა გუნდები ოსმალოს ჯარს ერიდებიან და მთებში იმალებიან. კრატოვის მიდამოში მეამბოხეთა რამდენიმე გუნდი გაჩნდა. იმათ ადგილობრივი მცხოვრებნი მიემხრნენ. ოსმალეთის მთავრობა ირწმუნება, რომ ბოლოს მოუღებს ამ სასტიკ მოქმედებას. ბოლგარიის მმართველობა დიდის ინტერესით, თუმცა მშვიდად, ადევნებს თვალყურს ამ ამბებს და იმედი აქვს, რომ პორტა ეცდება აალდინოს განსაცდელი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ბულგარიის სამთავროს ჩარევა ამ სახიფათო საქმეში. სამხედრო მინისტრმა სასტიკი ბრძანება მისცა საზღვრის დარაჯებს არ შემოუშვან ბულგარიის ტერიტორიაში ოსმალეთის შეიარაღებული ბრბონი.

**ლონდონი.** ბომბეის გუბერნატორი ლორდი ნორსკოტი დაინიშნა ავსტრალიის გენერალ-გუბერნატორად.

**სოფია.** მთავრობის მოხელეთა შორის ამბობენ,—მთავრობა სრულიად არ ელოდა მეამბოხეთა მოქმედების განახლებას; ამასთანავე ჰგონია, რომ ამ მოძრაობას ადგილობრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს და არა საზოგადო.

**სალონიკი.** მონასტირის ვილაიეტში საერთო აჯანყებაა. მეამბოხენი ცეცხლს უკიდებენ იმ ეზოებს, სადაც ახლად მომკილი პურის ბჯები სდგას. კრუშჩევაში დინამიტს მიჰმართეს. 30 მოხელე და ოსმალეთის ოჯახი ამოსწყვიტეს. სალონიკში მშვიდობიანობაა.

**ბელგრადი.** სერბიის ჯარის პორუჩიკმა პავლე მიხაილოვიჩმა გადასცა ავსტრიის მისსიას მობილიზაციის გეგმა.

**პარიზი.** ნაფიც მსაჯულთ დაიწყეს გარჩევა ემბერთა საქმისა.

27 ივლისი

**კიევი.** ნიკოლოსკის სლობოდაში, რომელიც დნეპრის გაღმაა, დიდი ცეცხლი გაჩნდა. 100-მდის სახლი დაიწვა. ჰფიქრობენ, ცეცხლი ძალად წაუკიდებიათო.

**სტამბოლი.** ილდიზ-კიოსკი და პორტა მეტად შეაწუხა იმ ამბავმა, რომ მეამბოხე რაზმებმა ხელ-ახლა დაიწყეს მოქმედება, ეხლა-კი ნელ-ნელა მშვიდდებიან. მოძრაობა მონასტირის ვილაიეტს არ სცილდება.—პორტა აცხადებს, რომ რედიფების დათხოვნა პირობებისამებრ და მათ მაგიერად მარშალ რუდში-ფაშის ჯარების დანიშვნა მაინც აღსრულებულ იქმნება, მიუხედავად უკანასკნელ ამბებისა.—როგორც ოსმალთა ცნობებიდან სჩანს, 100 კაცისაგან შემდგარ მეამბოხე რაზმმა დიდი არეულობა მოახდინა ვოდენის მთებში და მაჰმადიანთა რამდენიმე სახლი და ხორბლის საწყობი დასწვა.—დიბრას ახლო 200 კაცისაგან შემდგარი რაზმია.—სერესში დააპატიმრეს ბოლგარელი, რომელსაც დინამიტის ყუმბარების გადატანა უნდოდა.—რუსეთმა პორტას რჩევა მისცა იმის შესახებ, რომ ურდები არზრუმისა და ბიტლისის ვილაიეტებში სომხებს ცუდს საქმეს უქადიან; ამაზე პორტამ წერილით უპასუხა, საშიში არაფერიაო.—უკანასკნელ დღეებში ილდიზ-კიოსკის სასახლეში მინისტრთა სამხედრო კრებები მოხდა, რომლებზედაც მაკედონიის ვილაიეტების მდგომარეობაზე ჰქონდათ მსჯელობა.

**ჰეიდელბერგი.** უნივერსიტეტის იუბილეს გამო სამკურნალო ფაკულტეტმა საპატიო დოქტორის ხარისხი მისცა რიგელ მეცნიერს—შვეინფურტს, ცნობილ მოგზაურს აფრიკაში.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** გამოქვეყნებულია შემდეგი განცხადება ნიჟეგოროდის გუბერნატორისა: „ხელმწიფე-იმპერატორმა, საროვის უდაბნოდან რომ ბრუნდებოდა, სამეფო პლატფორმაზე, არზამასს ახლო, ასეთის სიტყვით გამაბედნიერა: „მე აღტაცებაში მომიყვანეს ნიჟეგოროდის გუბერნიის მცხოვრებლებმა თავის დახვედრით და სამაგალითო წესიერებით, რომელსაც თვით მცხოვრებნი იცავდნენ გზაზედ. მსურს, რომ ამ ჩემმა სიტყვებმა ხალხამდის მიაღწიოს. გუბერნატორის განცხადებაში კიდევ ნათქვამია: „მე ბედნიერ ვარ, რომ ხალხს ვაუწყებ ამ ყოვლიად მოწყალე სიტყვებს მის უდიდებულესობისას. ეს სიტყვები ყველა კაცის გულს აღტაცებაში მოიყვანს, შთამომავლობიდან შთამომავლობაზედ გადავა და ხალხს მოაგონებს იმ ნეტარს დღეებს, როდესაც მისი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი და მათი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატრიცანი ნიჟეგოროდის გუბერნიაში ბრძანდებოდნენ“.

**სოფია.** მაკედონიის წრეები სანდო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ამბოხება სისწრაფით ვრცელდება მთელ უსკიუბის ვილაიეტში. რაზმები ძალიან სდევნიან ოსმალებს და ბევრიც დახოცეს. რაზმები „გრა“-ს თოფებით და სოფლელები ცულებით თავგანწირულად იბრძვიან. მეამბოხეთა უმთავრესი ნაწილი კომანოვოს და კრატოვს შუა არიან მოთავსებულნი, რესნის, ოხრიდასა და ბიტოლის ხეობებში.

**ვენა.** იმპერატორი იშლში აღარა რჩება და ვენას მოდის, რომ ჰუნგრეთის პოლიტიკური მოღვაწეები უნგრეთის კრიზის გამო მოსალაპარაკებლად მიიწვიოს.

**ბუდაპეშტი.** მინისტრთა ბჭობა მოხდა იმის გამო, რომ მინისტრ-პრეზიდენტი იმპერატორმა ინახულა იშლში. რადგან კუენ ჰედერვარის მოქმედების პროგრამმამ, როგორც ეგონათ, საქმის ვითარება ვერ გამოარკვია და რადგან კოშუტის პარტიამ გამოაცხადა, მომხდარი შეთანხმება ჩვენთვის სავალდებულო არ არისო, ამისათვის მინისტრთა საბჭომ დაადგინა სამსახურს თავი დაანებოს.

**კელცი.** უმაღლესის ბრძანებით გაგზავნილი თავადი ობოლენსკი და გუბერნატორი ოზეროვი ხუთ დღეს დადიოდნენ და ათვალიერებდნენ წყალ-დიდობისაგან ყველაზე მეტად დაზარალებულ სოფლებს—სტოპნიცისა, პინჩისა და მეხოვის მაზრებში. ხელმწიფე-იმპერატორისაგან ნაბოძებ 25,000 მანათიდგან 3446 მან. დაზარალებულთ ოჯახებს დაურიგდა. მცხოვრებნი ძალიან მადლიერნი არიან ხელმწიფის წყალობისა. კამერჰერმა ოზეროვმა წინად მოიარა ყველა დაზარალებული ადგილები, დროებითი დახმარება მოაწყო და წარადგინა იმის პროექტი, თუ როგორ უნდა შეამაგრონ ჯებირი.

28 ივლისი

**ხაბაროვსკი.** პრიამურის გენერალ-გუბერნატორი დაბრუნდა ხაბაროვსკს. მან დაიარა ზაბაიკალიე და ჩრდილო მანჯურია. სამხრეთ-უსურიაში წყალდიდობაა; განუწყვეტლივ მოდის წვიმა; მდინარენი ადიდნენ და ნაპირებს მოედვნენ. ნიკოლსკი, რაზდოლიე, ნოვოროსიისკი და პოსიეტი წყალშემორტყმულია; მისვლა-მოსვლა შესწყდა; ყანები წყალში ლივლივებს. რამდენიმე კაცი იმსხვერპლ წყალდიდობამ; პოდპოლკოვნიკი ლვოვი და ორი მსროლელი ჯარის-კაცი დაიღრჩო.

**ყაზანი.** 1903 სამოსწავლო წლიდან არსდება ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის საცხოვრებელი სადგომი, სულ 150 კაცისათვის.

**ტაგანროგი.** როცა სასწაულთ-მომქმედი ხატი ოდიშტრის მღვთის-მშობლისა ქალაქში იყო მოსვენებული, განიკურნა მის მოხვევის დროს გრიგოლ ფილონენკო, ორის ფეხით კოჭლი, რომელიც 20 წელს ყავარჯენით დადიოდა.—ყოველ დღე ახალ-ახალი წვლილი იჩენს თავს ებრაელ იანკელ დრინბერგის ბოროტ-მოქმედებისა. ეს ებრაელი საზღვარგარედ ჰგზავნიდა ვითომ ხორბალს და ხორბლის მაგიერ-კი ეზიდებოდა მტვერს, ნაგავს და ყოველგვარ ნაყარ-ნუყარსა. დრინბერგს ცალკე კაცები ჰყავდა ამ რაგინდარის მოსაგროვებლად. გამოძიება ენერგიულად სწარმოებს.

**რომი.** დილით წმ. პეტრეს ტაძარში დიდის ამბით მოხდა პაპის გვირგვინის კურთხევა. დაესწრო ამ ამბავს 50,000 კაცამდე.

**ბელგრადი.** რუსეთის კონსული ბიტოლიაში როსტოვსკი მოკლულ იქმნა ოსმალოს ჯარის კაცისაგან; როსტოვსკის მოკვლამ მეტად ააღელვა ყველანი. კონსული ზაფხულს ბუკოვოს მონასტერში ატარებდა სახლობითურთ, ბიტოლიის ახლო; აქედან ყოველ დილით დადიოდა საკონსულოში. ქალაქის პირად არის არტილერიის ყაზარმა. როცა ყაზარმას ახლო გაუარა, კონსულმა შეჰნიშნა, რომ ოსმალოს დარაჯმა ბღვერით დაუწყო ცქერა და პატივი არ მისცა წესისამებრ. კონსული მიუახლოვდა დარაჯს, რომ ეკითხნა, ეს რა ამბავიაო. ამ დროს დარაჯმა სამჯერ ესროლა თოფი. კონსული დაეცა იქვე, სამის ტყვით განგმირული.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობამ მიიღო ამბავი, რომ აჯანყებულთ დასწვეს ხუთი სოფელი, სადაც ყველა მცხოვრებნი მაჰმადიანნი და ბერძენნი არიანო. ხმა ისმის, რომ ყველანი ამოუწყვეტიათ. პორტამ პროტესტის ნოტით მიჰმართა დიდთა სახელმწიფოთა.—მარშალი ომერრუდეი-ფაშა გაემართა პრიზრენიდან მონასტირს, რათა მიიღოს უფროსობა იმ ჯარისა, რომელიც იქ არის მოგროვილი აჯანყების დასათრგუნველად ამ ვილაიეტში.

**ბელგრადი.** 27 ივლისს, ღამე ჩაამტვრიეს შუშები ოსმალეთის მისსიის ყველა ფანჯრისა. დამნაშავე მილენკოვიჩი დაპატიმრებულია. ეს ამბავი შედეგია საერთო გაბოროტებისა, რომელიც გამოიწვია როსტოვსკის მოკვლამ.

**სალონიკი.** ოსმალთა ჯარები იცავენ ბიტოლიას. დუქნები ქალაქში დაკეტილია.—რკინის გზის მუშები უარობენ, გაფუჭებულს გზას არ გავაკეთებთ, რადგან აჯანყებულნი გვემუქრებიან სიკვდილსაო. რაკი საშიშია, აქეთ-იქიდან ითხოვენ, რომ მგზავრთა მატარებლების სიარული მაკედონიაში შეწყვეტილ იქმნას.

**მარსელი.** იმ დროს, როცა მინისტრ-პრეზიდენტი კომბი პრეფექტურაში შედიოდა, ვიღაც კაცმა, მეთევზის ტანისამოს ჩაცმულმა, ორჯელ ისროლა რევოლვერი მინისტრის ეტლისაკენ. ბოროტ-მომქმედი იტალიელია, სახელად პიკოლო. არავინ დაჭრილი არ არის. პიკოლო დაპატიმრებულია.—ოფიციალ ცნობებით, კომბის ეტლში ნასროლია წითელი ბადრიჯანი, რომელიც მოჰხვდა კურიერს, მაღლა კოფოზე მჯდარსა. პოლიციის აგენტები გამოეკიდნენ დამნაშავეს, რომელიც ამხანაგებს უნდოდათ დაეცვათ; ერთმა მათგანმა, სახელად პიკოლომ, ორჯელ ისროლა რევოლვერი ასე ასის მეტრის მანძილზე, მინისტრის ეტლისაკენ. ისიც, ვინც წითელი ბადრიჯანი ისროლა და პიკოლოც შეპყრობილნი არიან. პიკოლო მთვრალი იყო და უარს ამბობს, მე არ მისროლია რევოლვერიო. ხალხმა ცემა მოუნდომა პიკოლოს, მაგრამ პოლიციამ მოახერხა და, როგორც იყო, პრეფექტურაში იმიყვანა; პიკოლო 21 წლისაა. წითელი ბადრიჯნის მსროლელიც იტალიელია, 19 წლისა, დაკიმო სავოსტიო.

**სოფია.** როსტოვსკის მოკვლამ დიდად შეაწუხა აქ ყველანი.—მაკედონიის საქმებით დაინტერესებულთ მიიღეს ამბავი, რომ კრუშევის შემდეგ აჯანყებულთ რესნა დაიჭირესო; მაგრამ ამ დაჭერისათვის ნამდვილი ბრძოლა გადაიხადესო.—მთავარს ფერდინანდს ორს აგვისტოს მოელიან.

**სტამბოლი.** სალონიკიდან მოვიდა ამბავი, რომ ნაბძანებია სამარ ფეხზე დააყენონ 24 ბატალიონი რედიფებისა.—რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ მონასტერის ვილაეტში სოფლელები მიემხრენ აჯანყებულთა გუნდებს. მეორეს მხრივ მაჰმადიანებმა თავიანთი გუნდები დაარსეს; ამ გუნდთ მოსდით ბრძოლა ერთმანეთში და ბევრიც იხოცება.

**იშლი.** მობძანდა მეფე რუმინიისა.

**პეტერბურგი.** „პრავ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია დეპეშები 1) რუსეთის ელჩისა სტამბოლში, 2) საკონსულოს გამგებლისა ბიტოლიაში როსტოვსკის მოკვლის გამო ქანდარძის ხალიმის მიერ. როსტოვსკის მეეტლეს მერმე ქალაქში თურმე ესროლეს თოფი, და 3) შემდეგი დეპეშა გარეშე საქმეთა მინისტრისა სტამბოლის ელჩისადმი 27-ის ივლისის თარიღით: „ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო დეპეშა ხონთქრისაგან, რომელიც დიდს მწუხარებას აცხადებს რუსეთის კონსულის გარდაცვალების გამო. ამავე დროს მე წარუდგინე მის უდიდებულესობას თქვენ მიერ გამოგზავნილი დეპეშა როსტოვსკის შემაძრწუნებელ მოკვლის თაობაზე. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა რომ თქვენ არ დასჯერდეთ დიდის ვეზირის საბოდიშო განმარტებას და ყოვლადის სასტიკობით მოსთხოვოთ სრული დაკმაყოფილება და დაუყოვნებელი სამაგალითო დასჯა როგორც დამნაშავისა ისე იმ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა, რომელთაც ედებათ ბრალი ასეთის თავხედურის ბოროტ-მოქმედებისათვის“.

**პეტერბურგის ბირჟა, 25 ივლისს**

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,80 |
| ბერლინში 100 მარკაში. | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,32½ |
| ლონდონში ჩეკები. | 94,45 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | — |
| ბირჟის დისკონტი. | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა. | 99⅜ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 107 წვ. გაყ. |
| 4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის | 95½ მყიდ? |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 445 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 342½ წვ. მყიდ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 291 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | 94¾ |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 92½ გაყ. |
| 4½% გირავნოზ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, ,, ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 3850 წვ. გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 399 წვ გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 195½ წვ. გაყ. |

## გამოსადეგი ცნობა.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის. 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 2) წ. საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

**ყარსსა და ერევანს:** 1) საფოსტო № 74/73 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 9ს. 21 წ.

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ. ჩამოდის ტფილისს დილით 11 ს. 8 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; ტფილისს მოდის ნაშუადღევს 5 ს. 23. წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 წ ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

**შორაპნისაკენ:** დღის 3 ს. 8 წ.

## ტფილისის საზოგადო წიგნთსაცავი

(მთავარმართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდგან 1 ოქტომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოქტომბრიდგან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთსაცავში მრავალ რუსულ, ქართულ სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 5 აგვისტომდე დაკეტილია.

## კავკასიის მუზეუმი

(მთავარმართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაპათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდგან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

## საეკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება კვირა-უქმე დღეს დილის 10 საათიდგან 1 საათამდე. ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს.

შესვლის ფასი ერთი აბაზია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 іюля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе). д. Груз. Дворянства. დროებით-რედაქტორი ბ. ჯიჯიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.